პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 283 (9443) | კვირა. 30 ნოემბერი. 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია

ახალი ამოცანების შესაფერისად გარდავქმნათ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ახალი შრომითი წარმატებებისათვის! (1-ლი გვერდი).

რატომ ჰიანუარდება ომი კორეაში?—„პრავდის" 28/XI მოწინავე (მე-2-გვერდი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში (მე-2 გვერდი).

გ. მელაძე—ხალხთა მშვიდობის დასაცავად (მე-2 გვერდი).

კომუნიზმის მგზნებარე მშენებელი (მე-3 გვერდი).

პ. ბახტურიძე—„გაზაფხულის დილა" (მე-3 გვერდი).

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ფაბრიკა (მე-3 გვერდი).

ჯოუ ენ-ლაის განცხადება (მე-4 გვერდი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კომუნიკე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახალი ამოცანების შესაფერისად გარდავქმნათ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა

ახალ სტალინურ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში დიდად გაფართოვდება სასურსათო, სამრეწველო და კულტურულ-სამეურნეო საქონლის მიყიდვა მოსახლეობისათვის.

ამ ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჩვენი რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელსაც მუშაობის გაუმჯობესებაში განუწყვეტელ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო. მიმდინარე წლის 24 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების შემდეგ ცეკავშირმა ერთგვარად გააუმჯობესა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საქმე, შემცირებულ იქნა საქონლის ნაშთები და დებიტორული დავალიანება, ბევრ რაიონში სამომხმარებლო კოოპერაციას სათავეში ჩაუდგნენ საქმის მცოდნე, უნარიანი მუშაკები, მთელმა რიგმა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გააძლიერეს კონტროლი და ხელმძღვანელობა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობისადმი. ამის შედეგად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ 1952 წლის მესამე კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 102,2 პროცენტით.

ბაგრამ, სამწუხაროდ, ცეკავშირის გამგეობა (თავმჯდომარე ამხ. ლ. რუხაძე) და ადგილობრივი კოოპერაციული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ კოოპერაციული ქსელის უნაკლო მუშაობას. ცეკავშირის გამგეობამ თავი ვერ დაიღწია ფორმალიზმს, ხშირად ოპერატიული, საქმიანი ხელმძღვანელობის ნაცვლად დაუსრულებელი მიმოწერით კმაყოფილდება. მარტო მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე ცეკავშირის გამგეობამ 1.300-ზე მეტი დადგენილება გამოიტანა და 1.200-მდე ბრძანება და განკარგულება დაწერა! ამასთან, იშვიათად ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. ამიტომ ამ დადგენილებათა დიდ ნაწილს რაიმე საქმიანი შედეგი არ მოჰყოლია.

ასეთი მოუქნელი მუშაობის შედეგად ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციები კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, რამაც იგი სერიოზულ გარღვევამდე მიიყვანა. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ საქონელბრუნვის ცხრა თვის გეგმის შესრულებას 118,5 მილიონი ნაღდი დააკლო. მდგომარეობა არც ოქტომბერში გამოსწორებულა. საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას კვლავ დააკლეს 29 მილიონ მანეთზე მეტი. საქონელბრუნვის 9 თვის გეგმის შესრულებას ქუთაისის ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციამ დააკლო 69,4 მილიონი მანეთი, თბილისის ოლქისამ —24,8 მილიონი მანეთი. საქონელბრუნვის 9 თვის გეგმა არ შეუსრულებიათ აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციულ ორგანიზაციებს.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხ. ა. ი. გელაძემ აღნიშნა: „სამწუხაროდ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. საქონელბრუნვის გეგმა ჯერ კიდევ არ სრულდება. 1952 წლის 9 თვეში იგი შესრულებულია 95,9 პროცენტით, მოსახლეობას დაკლდა 209 მილიონი მანეთის საქონელი.

ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები და საქონლის მიმწოდებლები ცუდად მუშაობენ. სასაქონლო ფონდების ათვისება დროზე არა ხდება, ამასთან ხშირად ხდება არასრულად. საქონელს დროზე ვერ აწვდიან მომხმარებელს".

ეს სერიოზული გაფრთხილებაა! აქედან საჭირო დასკვნები უნდა იქნას გამოტანილი.

კოოპერაციული ვაჭრობა ცუდად არის მოწყობილი სოფლად. აქ ხშირად ვერ ნახავთ გასაყიდად გამოტანილ საპონს, ასანთს, ნავთს, მარილს და სხვა პირველი მოხმარების საქონელს. ეს მაშინ, როცა აღნიშნული საქონელი ცეკავშირის საწყობებში ბლომად აწყვია. მთელ რიგ კოოპერაციულ ორგანიზაციებში ჩამორჩება კვერცხის დამზადება, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის ხაწარმის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა. სამომხმარებლო კოოპერაციისათვის საქონლის მიწოდებაში თავიანთ ვალდებულებებს არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ „გლავტექსტილსბიტი", „გლავმეველისბიტი", „გლავბუმსბიტი", საქართველოს სარეწაო კოოპერაცია და კოოპინკავშირი.

ძლიერ ცუდად მუშაობენ ქასპის, ბოლნისის, ახალციხის, თელავის, საგარეჯოს, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ჭიათურის, საჩხერის, წალენჯიხისა და ტყიბულის რაიონების კოოპერაციული ორგანიზაციები. ეს იმის შედეგიც არის, რომ ამ რაიონების ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები საქმიან დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს. მათ დაივიწყეს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კოოპერაციული სახსრების გაფლანგვა-დატაცება, ზომა-წონაში მოტყუება და საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯება. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ადგილებზე ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები მთლიანად აღმოიფხვრას. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მართებთ სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ასეთი სახის დანაშაულობათა წინააღმდეგ, არ იღებენ სათანადო ზომებს სამომხმარებლო კოოპერაციისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 ივნისის დადგენილების შესრულების საკითხი ცეკავშირის სისტემაში. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ზემოხსენებული დადგენილების შეუსრულებლობისათვის თანამდებობიდან მოხსნა კასპის რაიონის კოოპკავშირის თავმჯდომარე ი. დუდუჩავა და ტყიბულის კოოპერაციული საზოგადოების თავმჯდომარე ა. ყაზიშვილი, კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-დატაცების დაშვებისა და მუშაობის ჩამლისათვის აფხაზკოოპკავშირის ყოფილ თავმჯდომარეს დ. ჩაჩავას დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი. გაფრთხილებულ იქნენ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. რუხაძე და მისი მოადგილეები ამხ. ე. ხარაბაძე, ლ. ფილიაშვილი, ს. ფურცელაძე და გ. ზუმბურიძე უახლოეს ხანში გამოასწორონ ნაკლოვანებანი, გააუმჯობესონ კოოპერაციული ვაჭრობის საქმე საქართველოში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამ დადგენილებიდან ცეკავშირის ხელმძღვანელებმა სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთონ. საჭიროა სწრაფად გარდაიქმნას საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა. ფართოდ გავშალოთ კულტურული საბჭოთა ვაჭრობა, საქონელბრუნვის გეგმები შევასრულოთ ყოველდღიურად, ყოველთვიურად და ყოველკვარტალურად. ამ საქმეში კოოპერაციულ ორგანიზაციებს ქმედითი დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

მკვეთრად გავაუმჯობესოთ სოფლად ვაჭრობის საქმე, ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოითხოვენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეხუთე სტალინური ხუთწლედით დასახული დიადი ამოცანები!

ახალი შრომითი წარმატებებისათვის!

კოლხიდელ მექანიზატორთა გამარჯვება

ფოთი. (საკ. კორ.). კოლხიდის დაბლობის ათვისების საქმეში დიდ როლს ასრულებს მანქანა-ექსკავატორთა სადგური, რომლის კოლექტივი უკვე მეორედ ინარჩუნებს მეორე ადგილს სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ამ სახის სადგურებს შორის. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მ. ალანიას და ა. კრივცოვის ექსკავატორთა ეკიპაჟებმა. მათ 139 პროცენტით შეასრულეს წლიური გეგმა და ამჟამად მუშაობენ 1953 წლის ანგარიშში. სადგურმა მესამე კვარტალში სახელმწიფოს 112.000 მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

სადგურის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა მუშაობა ახალი საწარმოო საჩუქრების მოსამზადებლად სტალინური კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის.

მეცხვრუსეები პირობას ასრულებენ

ბათუმი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება პლანტაციების აღდგენის, გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ენერგიულმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით შეასრულა წლიური დავალება. ჯერ კიდევ 15 ნოემბრისათვის ბათუმის რაიონში გაშენდა 534 ჰექტარი პლანტაცია, რაც წლიური დავალების 112 პროცენტზე მეტს შეადგენს. დიდ ფართობზე გაშენებულია ლიმონი და ფორთოხალი. ბერიას სახელობის გონიოს საბჭოთა მეურნეობას ხუთწლიანი გეგმით 47.800 ძირი ციტრუსი უნდა გაეშენებინა. მეურნეობის კოლექტივმა ენერგიული შრომით ეს დავალება მიმდინარე წლის შემოდგომაზე შეასრულა.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალება უკვე შეასრულა სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამაც (თავმჯდომარე ს. ზოიძე). კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც თ. ბრუნჯაძე და ხ. კეჟერაძე ხელმძღვანელობენ. გამოცდილია მეციტრუსეებმა მ. ჩახვაძემ, ი. დიასამიძემ, გ. ტაქსიდიმ და სხვ. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსების გაშენების ხუთწლიანი გეგმა. ამჟამად ისინი ბეჯითად უვლიან ნარგავებს, ზრუნავენ პლანტაციების სანიმუშოდ გამოზაფრებისათვის.

ციტრუსოვანთა გაშენების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ლიმმანტრესტის მახინჯაურისა და ახალშენის საბჭოთა მეურნეობებს. მახინჯაურის მეურნეობაში (დირექტორი ამხ. დ. ტუღუში) გაშენებულია 104,1 ჰექტარი პლანტაცია, რაც 7,5 ჰექტარით აჭარბებს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებას. ახალი პლანტაციების გაშენებასა და მოვლა-გახარებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცნობილმა მეციტრუსეებმა, კომუნისტებმა ანტონ ქურაძემ და ევგენი კორძაძემ.

ბათუმელი მეციტრუსეები პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას ლიმონის, ფორთოხლის. მანდარინის პლანტაციების ფართობისა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის მშენებლობებზე

ზამთრისპირი მჭკვრის სანაპიროებზე

არავის ახსოვს თბილისში მტკვრის სანაპიროებზე ისეთი ხალისიანი ზამთრისპირი, როგორიც წელს არის. მშენებლები მდინარის ნაპირს გადასევიან, წყალს არ ეპუებიან, და მათს შრომითს გუგუნში, ექსკავატორების ხმაურსა და თვითსაცლელი ავტომობილების ოროტრიალში მაღლდება და ორთაჭალისაკენ მიიწევს ახალი სანაპირო ჭუჩის საყრდენი კედელი.

ზემოთ, ელბაქიძის ახალი ხიდის მშენებლობაზე, ენთუზიასტებს შრომითს პაექრობაში დღე და ღამე გაუერთიანებიათ, საათობრივი გრაფიკით მუშაობენ, საცარი სისწრაფით მიდიან წინ, ამშვენიერებენ, ალამაზებენ ხიდის კოლოსს, იჩქარიან დათქმულ ვადამდე გახარონ თბილისელები მტკვარზე ახალი ლამაზი ხიდის გადაჭიმვით.

სწორედ ამ მშენებლების შრომითი ენთუზიაზმის გამოა, რომ თბილისში მტკვრის სანაპიროებზე არავის ახსოვს ასეთი ზამთრისპირი.

ყვარლის რაიონიდან ჩამოსული ახალსოფლელი ამირან ჟონჟოლაძე 13 წელიწადია ახალი თბილისის მშენებელთა რიგებში დგას. — ჯერ არ მოვსწრებივარ ასეთი მასშტაბით და ასეთი სწრაფი ტემპით მშენებლობას თბილისშიო, — ამბობს იგი.

მრავალი კილომეტრის სიგრძის ბეტონის კედელი უნდა აღმართონ მტკვრის მარჯვენა მხარეზე ახალი სანაპირო ჭუჩის საყრდენად ა. ჟონჟოლაძისა და მისი ამხანაგების — ივანე ოჰანეზაშვილის, გიორგი ბახტაძეშვილის, შაქრო ოხანაშვილის, ივანე სუკაევის, ვალერიან სისველაშვილის, ზაქარია ტაღნიაშვილის, ივანე ლუცენკოს, იოსებ ისახანოვის და სხვათა ბრიგადებმა. ჯგუფ-ჯგუფად შეუტიეს მშენებელთა ბრიგადებმა მტკვარს ბარათაშვილის ხიდის მარჯვენა ყურედან სამასი არაგველის ხიდამდე. ბარათაშვილის ხიდთან 240 მეტრის სიგრძეზე მტკვარს უკვე გამოსტაცეს საყრდენი კედლის საფუძვლად საჭირო ფართობი, ქარგილები აღმართეს და ამ ქარგილებში ბეტონის ხსნარის ჩასხმა დაიწყეს.

გაზაფხულამდე ეს კედელი თითქმის მეტეხის ახალ ხიდამდე მიაღწევს. არის ერთი სიძნელე: სწორედ მეტეხის ახალი ხიდის ზემო მიდამოში, მტკვარი ნახევარრკალად უვლის მარცხენა მხრიაკენ მდებარე რიყის უბანს და არავითარ შესაძლებლობას არ ტოვებს იმისათვის, რომ მარჯვენა მხრიდან განაგრძონ კედლის გაყვანა. მშენებლებმა გადაწყვიტეს ოსტატური მიდგომით გაართვან თავი ამ სიძნელეს. მეტეხის ხიდისა და სიონის ტაძრის რკალთან მტკვარს ახალი მდინარების გზა გამოუნახეს და საყრდენი კედლის გაყვანას ორი შემხვედრი მიმართულებით შეუდგნენ, ზემოდან, ბარათაშვილის ხიდის მარჯვენა ყურიდან და ქვემოდან — რიყის ტერიტორიიდან ზევით ბარათაშვილის ხიდის მარჯვენა ყურის მიმართულებით. ზემოდან დაძრულ მშენებელთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ინჟინერი ვ. ვართაგოვი, ხოლო ქვემოდან წამოსულ მშენებელთა ჯგუფს — ინჟინერი გ. ენუქიძე.

საყრდენი კედლის მშენებლობაზე ბოლო ხანებში თავი ისახელეს გიორგი გოჩაშვილის მებეტონეთა ბრიგადამ, იმ მშენებლებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობს ათისთავი რ. ვასაძე, ბეტონის ქარხნის კოლექტივმა და მეარმატურე დ. საიკინმა.

შეუნელებელი ტემპით მუშაობენ მშენებლები. მათი გადაწყვეტილებაა მომავალი ზამთრის პერიოდი ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ, უზრუნველყონ ნაკისრი სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად დამთავრება.

დ. ლომთაძე.



თბილისი. კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა 105,8 პროცენტით შეასრულა, დაზოგა 23,5 ტონა ნართი, მრავალი ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა ახალი ასორტიმენტის პროდუქცია: დრაფი „მაიგა", საკოსტიუმე ქსოვილი „სავაზაფხულო", ქალის საპალტო დრაფი და სხვ.

ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფაბრიკის მოწინავე მუშებს. **სურათებზე: მარცხნივ** — სტახანოველი მჩეჩავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ივანისელი, რომელიც დღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. **მარჯვნივ** — საქსოვი საამქრო. ოსტატის თანაშემწე ნ. კრიჟაშვილი თვალყურს ადევნებს ახალგაზრდა მქსოველის, კომკავშირელ თამარ მოსიძის მუშაობას. მქსოველი თ. მოსიძე მუშაობს ახალი ასორტიმენტის ქსოვილის გამოშვებაზე და ცვლის დავალებას სისტემატურად 125 პროცენტით ასრულებს. მის მიერ მოქსოვილი შალეულის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პოლონეთში გამოიცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომისადმი—„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" მიძღვნილი სტატიების კრებული

ვარშავა, 28 ნოემბერი. (საკდესი). გამომცემლობამ „წიგნი და ცოდნა" გამოუშვა ამხანაგ სტალინის გენიალური შრომისადმი—„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" მიძღვნილი პოლონურ ენაზე თარგმნილი სტატიების კრებული. კრებული მოამზადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა.

აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა 28 ნოემბრისათვის შეასრულეს გეგმის გადამეტებით თამბაქოს ჩაბარების ვალდებულება. ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 600 ტონისა, ჩააბარეს 602 ტონა თამბაქო.

თამბაქოს ჩაბარება გრძელდება.

მექანიზმები დიად მშენებლობათათვის

უგლიჩი (იაროსლავლის ოლქი), 27 ნოემბერი (საკდესი). უგლიჩის მექანიკურ ქარხანაში დაამზადეს ახალი კონსტრუქციის ვერტიკალური ტუმბო მიწისმწოვი მანქანებისათვის, რომლებიც კომუნიზმის დიად მშენებლობებზე მუშაობენ. საქარხნო გამოცდამ ცხადყო მექანიზმის მაღალი თვისებები.

ახალი ტუმბო განკუთვნილია ზამთრის პირობებში სამუშაოდ. იგი ასწვავს წყალის ღრმა ფენებს და უზრუნველყოფს მის ცირკულაციას მიწისმწოვი მანქანის გარშემო. ამით თავიდან იქნება აცილებული მანქანის მოყინვა.

დღეს ქარხანა შეუდგა ახალი მექანიზმების სერიულ გამოშვებას. პირველი 200 ტუმბო გაეგზავნება „კუიბიშევჰიდრომშენს".

კახოვკის ჰესის მშენებლობაზე

ნოვაია კახოვკა, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ჰიდროსპეცმშენის ბრიგადა, რომელსაც ამხ. დობროდო ხელმძღვანელობს, დნეპრის ნაპირზე ლითონის ზღუდარის აგების დროს ყოველი სამი გრძივი მეტრი ხიმინჯებიდან ნორმის გადამეტებით ასობდა ორ მეტრს. ასეთ მაღალ ნაყოფიერებას მან მიაღწია სამუშაოთა რაციონალიზაციის მეოხებით.

ვიბროუროთი გრუნტში ხიმინჯების ჩაშვების პროცესი რამდენიმე წუთს გრძელდება, მაგრამ ბევრ დროს მოითხოვს ხიმინჯის ჩასობა საქმეში, ხშირად, განსაკუთრებით ძლიერი ქარის დროს, კოშკს ამწით მაღლა აწევული მრავალმეტრიანი ხიმინჯი განზე იწევს. ჩასობა ზოგჯერ საათსა და უფრო მეტ ხანს გრძელდებოდა. ოსტატმა ამხ. ლისკომ წარმოადგინა ორიგინალური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხიმინჯის ჩასობა 10 წუთში ხორციელდება.

ხიმინჯის ჩასობაზე მომუშავე მშენებლებმა უკვე მოახდინეს მრავალი პროცესის რაციონალიზაცია. ეს ხელს უწყობს მათ იმაში, რომ წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ დავალებას. 4.000 ტონა ხიმინჯებიდან, რომლებიც უნდა დაისოს აქ ზღუდარში გაზაფხულის წყალდიდობისათვის, უკვე დასობილია დაახლოებით 2.400 ტონა.

მრიცხველი ელექტროგრანსპორტისათვის

კ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემია ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვა.

ერთ-ერთმა ლაბორატორიამ შექმნა მრიცხველი ტრამვაის თვითეული ვაგონის მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის აღსარიცხავად. იგი შესაძლებლობას მისცემს მძღოლებს უფრო სრულად გამოავლინონ და გამოიყენონ ელექტროენერგიის მომჭირნეობის შესაძლებლობა.

პირველ საექსპერიმენტო მრიცხველებს ცდიან ტრამვაიზე ნოგინსკში, ლვოვში, ივანოვოსა და სვერდლოვსკში, აგრეთვე მოსკოვის ტროლეიბუსებში. გამოცდა ცხადყოფს, რომ მოწინავე მძღოლები ზოგავენ 20 პროცენტამდე ელექტროენერგიას.

მრიცხველის დახმარებით ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვა შესაძლებელია არა მარტო ტრამვაისა და ტროლეიბუსში, არამედ სხვა სახეობის ელექტროტრანსპორტზეც — მეტროში, ელექტრომატარებლებში. (საკდესი).

შავი ზღვის სანაპიროზე დამთავრდა ზურისტული სეზონი

სოჭი, 27 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ სოჭის ბაზა დატოვა ტურისტთა უკანასკნელმა ჯგუფმა. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტული სეზონი დამთავრდა.

წელს ნარტო სოჭის ბაზამ მომსახურება გაუწია 13.000-ზე მეტ კაცს. 3.400 სპორტსმენმა ჩააბარა ჩასათვლელი ნორმები და მიიღო ნიშანი „სსრ კავშირის ტურისტი".

საკავშირო პროფსაბჭოს კრასნოდარის მხარის ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო მომავალი სეზონისათვის ადგენს ახალ ტურისტულ მარშრუტებს. ტუაპსეს მახლობლად „ოქროს პლაჟის" ნაპირზე იხსნება ახალი ბაზა. იგი მომსახურებას გაუწევს ტურისტებს, რომლებიც იმოგზაურებენ ახალი მარშრუტით გელენჯიკ-არხიპო-ოსიპოვკა-ნოვო-მიხაილოვსკოე-აშე.

დიდად საინტერესოა ახალი მარშრუტი სოჭი-ხოსტა-ავადხარა-კარდშვაჩის ტბა-კრასნაია პოლიანა.

რატომ ჩიანურდება ომი კორეაში?

○

„პრავდის“ 29/XI მოწინავე

○

დაახლოებით ოცდაათი თვეა გრძელდება კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული ომი. აურაცხელი მოკლული და დახიხჩრებული კაცი, ქალი, ბავშვი, ამერიკის ავიაციის მიერ კორეაში გადაგწვარი ათასობით ქალაქი და სოფელი, ხამოჭლაქო მოსახლეობის უშვალებო მატერიალური გაჭირვება და უბედურება—ი რა მოუტანა კორეის ხალხს ამერიკელ დამპყრობთა თავხედურმა, არაპროვოცირებულმა შეჩრამ.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი ბოროტმოქმედებანი, როგორსაც კორეელი ხალხის მიწაწყალზე სჩადიან ამერიკელი ოკუპანტები, რომლებიც ჰიტლერული ტირანიის გზას დაადგნენ. მაგრამ ინტერვენტთა არავითარ მხეცობასა და ძალადობას არ ძალუძს გატეხოს მაღალი მორალური სული გმირი კორეელი ხალხისა, რომელიც მამაცურად იცავს თავის თავისუფლებას და სამშობლოს დამოუკიდებლობას. კორეის მშვიდობისმოყვარე ხალხი, რომელსაც მხარს უჭერენ ჩინელი სახალხო მოხალისეები, იბრძვის სამართლიანი საქმისათვის.

საბჭოთა კავშირი, რომელიც განუხრელად იცავს მშვიდობის საქმეს, კორეაში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის დაწყებიდანვე მტკიცედ იბრძოდა ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. სწორედ საბჭოთა მხარემ წამოაყენა წინადადებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებას.

მოლაპარაკების დაწყების მომენტიდან უკვე თექვსმეტ თვეზე მეტი გავიდა. მაგრამ დღემდე შეთანხმება მიღწეული არ არის, და კორეის მიწაწყალზე კვლავ იღვრება სისხლი. მაშ რა უშლის ხელს ცეცხლის შეწყვეტას და დაზავებას?

შეიძლება ითქვას, არც ერთ საკითხში ამერიკა-ინგლისის აგრესიული ბლოკის იფციალური წარმომადგენლები და უოლ-სტრიტის გაზეთების მჯდაბანელები არ იყენებენ იმდენ სიცრუეს და ჭორს, რამდენსაც ამ საკითხში, ცდილობენ რა სხვებს დააკისრონ პასუხისმგებლობა კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების ჩაშლისათვის. და მაინც ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანმა იცის, რომ კორეის ომის განგრძობის ერთადერთი დამნაშავე არიან ამერიკის მმართველი წრეები.

დაზავების შესახებ მოლაპარაკების მთელ მანძილზე ამერიკის წარმომადგენლები, რომლებიც უკანონოდ უწოდებენ თავს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგაციას“, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაშალონ მოლაპარაკება. მაგრამ ვერც პროვოკაციებმა, ვერც მუქარამ, ვერც სამხედრო ზეგავლენამ და პრესის ცილისმწამებლურმა კამპანიამ წარმატება ვერ მოუტანა ვაშინგტონს. კორეისა და ჩინეთის მხარის სიდინჯისა და სიმტკიცის მეოხებით, რომელიც თანმიმდევრულად ეწეწრაფვის ომის შეწყვეტას, მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის მოხერხდა შეეთანხმებინათ დაზავების შესახებ შეთანხმების თითქმის ყველა პუნქტი. დაისახა ომის დამთავრების რეალური პერსპექტივა.

მაგრამ სწორედ ამისი ეშინიათ ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებული შტატების იმ წრეებს, რომლებმაც ომის ხანძარი გააჩაღეს კორეაში. ცდილობს რა არ დაუშვას ომის დამთავრება, ამერიკის მხარემ განზრახ შექმნა ახალი დაბრკოლება, როცა უარი თქვა შეეთანხმებინა სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

დაზავების ხელმოწერის შემდეგ ყველა სამხედრო ტყვის დაუყოვნებლივ შინ დაბრუნება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი უკვე დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ნორმაა, რომელიც ერთხელ კიდევ განმტკიცებულია ჟენევის 1949 წლის კონვენციით სამხედრო ტყვეების შესახებ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ამ საერთაშორისო შეთანხმებას და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებსაც ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატები, განიხილავს, როგორც „ფარატინა ქაღალდს“. ვაშინგტონელმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს ძალით დააკავონ სამხედრო ტყვეები, ხოლო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად ატეხეს ყვირილი ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ შესახებ. ლაპარაკი „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“, „ძალდატანებული რეპატრიაციის“, „ძალის გამოუყენებლად რეპატრიაციის“ თემაზე სინამდვილეში ვარიანტებია ერთი და იმავე გეგმისა — სამხედრო ტყვეების ძალით დაკავებისა.

მსოფლიოს უკვე დიდი ხანია აღარ უნახავს ასეთი ფარისევლობა. ისინი, ვისი ბრძანებითაც აწამებენ და მხეცურად ხოცავენ ათეულ ათასობით კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს კოჯედოს, პუსანის, ჩეჯუდოს და სხვა ამერიკულ „სიკვდილის ბანაკებში“, იღებენ სამხედრო ტყვეთა „დამცველების“ პოზას! ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აჩესონი და ამერიკის სხვა წარმომადგენლები გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიაზე, ლაყბობენ რა „კანონისა და მორალის“ შესახებ, „ჰუმანური პრინციპების“ შესახებ, თავს ახვევენ ასამბლეას მათ მიერ ინსპირირებულ რეზოლუციებს, რომელთა მიზანი არსებითად ერთია: დაადასტურონ ამერიკის ხარდლობის ხელში ათეულ ათასობით სამხედრო ტყვის უკანონოდ დაკავება.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობა, რომელიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, ერთხელ კიდევ ამხილებს სამხედრო ტყვეებისადმი „ჰუმანური მოპყრობის“ ოკეანესგაღმელ მქადაგებლებს იმაში, რომ ისინი აღმაშფოთებლად ატყუებენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, როგორც გამოირკვა, 1951 წლის მაისში 1.400 სამხედრო ტყვე ფარულად გაგზავნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა მათზე გამოეცადათ ატომური იარაღი. მომდინარე წლის მაისში № 77 ბანაკის სამხედრო ტყვეებზე, რომელნიც შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ, გამოსცადეს ახალი კონსტრუქციის ცეცხლსაფრქვევები; ამერიკელმა მტარვალებმა ცოცხლად დაწვეს 800 სამხედრო ტყვე.

ცხადია, რომ სამხედრო ტყვეების ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ საკითხს, რომელიც ამერიკელთა მხარემ შექმნა, ერთადერთი დანიშნულება აქვს—ჩაშალოს დაზავებაზე მოლაპარაკება, გააჭიანუროს ომი კორეაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დანაშაულებრივ პოლიტიკას კორეაში საფუძვლად უდევს გაუმაძღარი ამერიკელი მილიარდერებისა და მილიონერების ანგარებითი გეგმები. მრისხანე ეკონომიური კრიზისის აჩრდილი ულმობლად უახლოვდება შეერთებულ შტატებს. ამერიკის სამრეწველო წარმოების მკვეთრ დაცემას მხოლოდ ის აყოვნებს, რომ კორეელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაჩაღების შედეგად მკვეთრად დიდდება სამხედრო წარმოება, ძლიერდება გამალებული შეიარაღება. აი ამიტომ ასე ამბიებენ ამერიკის შეერთებული შტატების მაგნატებს მშვიდობა. აი ამიტომ სწუხრიათ მათ განაგრძონ ომი კორეაში.

კორეელი ხალხის სისხლითა და ტანჯვით ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველები და ბანკირები უზარმაზარ მოგებას იღებენ. კორეაში ომის მარტო პირველ წელიწადს მათ ამ ომით 23 მილიარდი დოლარი შეიძინეს. შემდეგ ეს მოგება კიდევ უფრო გადიდდა.

ახასიათებდა რა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოზიციას, ამერიკელი ლიბერალი ჟურნალისტი სტოუნი წერდა: კორეაში „მათ მშვიდობისა ეშინიათ. ისინი რწმენას კარგავენ, როცა მკვლელობა შეწყვეტილია, ისინი დაემსგავსენენ კაცისმკვლელს — უბადრუკ მხიაკს, რომელსაც შეუძლია გული დაიმშვიდოს მხოლოდ მაშინ, როცა სისხლს ღვრის და უმსგავსობას სჩადის... ისინი მთელ თავიანთ გეგმებს ამყარებენ იმ ვარაუდზე, რომ დაზავებაზე მოლაპარაკება ჩაიშლება“.

რაც შეეხება ამერიკელთა სამხედრო ხროვას, უოლსტრიტელ „სიკვდილით მოვაჭრეთა“ ამ ერთგულ მსახურს, მას კორეაში ომი მიაჩნია ისეთ ოპერაციად, რომლის საშუალებითაც შორეულ აღმოსავლეთში ხელში ჩაიგდებს დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ პლაცდარმს ახალი სამხედრო ავანტიურების განსახორციელებლად. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი სამხედრო ხროვა კორეის ველებზე ამზადებს კაცისმკვლელთა და მოძალადეთა კადრებს სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებზე თავდასხმისათვის. შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შტაბმა კორეაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო ოპერაციას „მკვლელი ოპერაცია“ უწოდა.

ახასიათებს რა ამერიკის შეერთებული შტატების კაცთმოძულე მიზნებს ამ ომში, გენერალი რიჯუეი აცხადებს: „თავი და თავის რაც შეიძლება მეტი ჩინელი და კორეელი დავხოცოთ“. ასე უსინდისოდ აშკარად ლაპარაკობენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კორეაში ჩადენილ სისხლისმღვრელ დანაშაულობათა შესახებ, რომელებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით ფარავენ.

მშვიდობისმოყვარე კორეელ ხალხზე ამერიკელი აგრესორების ვერაგულმა თავდასხმამ ასეულ მილიონობით ადამიანს დაანახვა ახალი ომის გამჩაღებელთა ბოროტი მიზნები. ყველა ქვეყანაში, ყველა ენასა და კილოზე სულ უფრო ხმამაღლა გაისმის პროგრესული კაცობრიობის ერთხელ კიდევ მჭევრმეტყველურად მოწოდებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება, რომელიც დღეს ქვეყნდება. ამავე დროს ვაშინგტონის პოლიტიკოსთა ვერავითარი მაქინაცია ვერ დაუმალავს საერთაშორისო საზოგადოებრიობას იმ უეჭველ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მიზნად ისახავს გააჭიანუროს და გააფართოოს ომი კორეაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს

სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ერთგვარი გაუმჯობესება. მაგრამ სოფლად ვაჭრობის ორგანიზაცია სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ცეკავშირის გამგეობა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხს.

სამომხმარებლო კოოპერაციისათვის საქონლის მიწოდების დარგში თავიანთ ვალდებულებებს არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ „გლავტექსტილსბიტის“, „გლავმეფისბიტისა“ და „გლავობუვსბიტის“ საქართველოს ბაზები. პირველმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის სამომხმარებლო კოოპერაციას დააკლო 15,5 მილიონი მანეთის საქონელი, მეორემ—7,7 მილიონი მანეთისა და მესამემ—5,9 მილიონი მანეთისა. მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლეს გასავლისა სასოფლო საქონელი საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭომ და საქკოოპინკავშირმა.

ცეკავშირის სისტემაში ჩამორჩენილია აღრიცხვა და ანგარიშგება, არ სრულდება რევიზიის გეგმები.

კვლავ ვხვდებით კოოპერაციული სახსრების გაფლანგვა-დატაცების, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების მრავალ ფაქტს. მაგალითად, მიმდინარე წლის III კვარტალში ცეკავშირის სისტემაში დიდი თანხების გაფლანგვა-დატაცების ცოტა შემთხვევა როდი იქნა გამოვლინებული. პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან დატაცების თავიდან ასაცილებლად, სამომხმარებლო კოოპერაციისათვის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რასაც მას აყენებენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, გამფლანგველები.

ცეკავშირის გამგეობა და პარტიის მთელი რიგი რაიონული კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საქმეს. ისინი სათანადოდ არ ეხმარებიან კოოპერაციულ ორგანიზაციებს მათს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სამი თვის განმავლობაში დაუკავებელია ვანისა და წულუკიძის რაიონული სამომხმარებლო კავშირების, წალენჯიხისა და ადიგენის სამომხმარებლო საზოგადოებათა თავმჯდომარეების ვაკანტური თანამდებობანი.

კასპის, ბოლნისის, ახალციხის, თელავის, საგარეჯოს, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ზუგდიდის რაიონების სამომხმარებლო კავშირებმა და ჭიათურის, საჩხერის, წალენჯიხისა და ტყიბულის რაიონების სამომხმარებლო საზოგადოებებმა ჩაშალეს რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომების განხორციელების დაკვირვების გეგმები.

ცეკავშირის სისტემაში ჩამორჩენილია ანგარიშგება და ანგარიშგების შემოწმება. ცეკავშირის ბუღალტერიის მუშაკები ხშირად ვერ ამჩნევენ ბუღალტრულ ანგარიშგებაში დაშვებულ შეცდომებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ამ შეცდომებს განზრახ ფარავენ.

ბიუროს გადაწყვეტილებით თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს ევალებათ განიხილონ ადგილობრივი კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები და მიაღწიონ იმას, რომ უთუოდ განხორციელდეს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ ღონისძიებათა შესრულების ჩაშლისათვის სამუშაოდან მოხსნილი არიან კასპის რაიონული სამომხმარებლო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. დუდუჩავა და ტყიბულის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ყაზიშვილი.

თანამდებობიდან განთავისუფლებულია ცეკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კ. ქადაგიშვილი.

აფხაზკოოპავშირის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს დ. ჩაჩავას კოოპერაციული სახსრების დიდი გაფლანგვა-დატაცების დაშვებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

თბილისის ავტოვაგზლის მშენებლობა

საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური რეკონსტრუქცია ახლა მიმდინარეობს, შენდება რესპუბლიკაში პირველი თბილისის ავტოვაგზალი არქიტექტორ ა. გრესელის პროექტის მიხედვით.

შენობის მეორე სართულის ფართო, ლამაზად გაფორმებულ ოთახებში მოთავსებული იქნება მოსაცდელი დარბაზი, დედისა და ბავშვის ოთახი, საბილეთო სალაროები, ბუფეტი, საგაზეთო კიოსკი, საპარიკმახეროო და სხვ.

პირველი სართული მთლიანად დაეთმობა საბაგაჟო განყოფილებას და ბარგის შესანახავ კამერას.

ვაგზალთან მოეწყობა სპეციალური მოასფალტებული სადგომები ავტობუსებისათვის. ვაგზლის ტერიტორია გამწვანდება ყვავილებითა და დეკორაციული ხეებით.

ხალხთა მშვიდობის დასაცავად

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიამ, რომელიც გაიმართა ბერლინში მიმდინარე წლის 1-6 ივლისს, მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — დეკემბერში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მოწვეულ იქნას ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი.

ვენის კონგრესის მოწვევის ინიციატორი და ორგანიზატორია მშვიდობის მსოფლიო საბჭო, მაგრამ ეს კონგრესი მშვიდობის დასაცავად კულტურის მოღვაწეთა ვროცლავის მსოფლიო კონგრესის (1948 წლის აგვისტო), მშვიდობის მომხრეთა პირველი (პარიზი-პრაღა, 1949 წლის 20-25 აპრილი) და მეორე (ვარშავა, 1950 წლის 16-22 ნოემბერი) მსოფლიო კონგრესების გამეორება როდი იქნება. ვენის კონგრესი, უპირველეს ყოვლისა, იქნება ხალხთა კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის არა მარტო აქტიური წარმომადგენლები, არამედ მრავალი უბრალო ადამიანი, განურჩევლად კონვენციისა, პარტიული კუთვნილებისა, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა. ეს კონგრესი მიზნად ისახავს გააერთიანოს ყველა მიმართულების ადამიანები, ყოველგვარი დაჯგუფებანი თუ ასოციაციები, რომელთაც გულწრფელად სურთ მშვიდობა, განიარაღება, ეროვნული დამოუკიდებლობა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ახალი სისხლისმღვრელი მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრიბუნად ამა თუ იმ სოციალური სისტემის, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის გასაკიცხავად და დასაგმობად. ვენის კონგრესი იქნება მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში უმაგალითო დიდი ასამბლეა, დიდი ტრიბუნა, სადაც მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა წარმომადგენლები შეეცდებიან გამონახონ ყველაზე უფრო ქმედითი ღონისძიებანი მშვიდობის დასაცავად.

* * *

მშვიდობის დაცვის სახალხო მოძრაობა, რომლის შექმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე მსოფლიო ომში განმათავისუფლებელი, ანტიფაშისტური ძალების გამარჯვებასთან, თანადროულობის უდიდესი და უძლიერესი მოძრაობა გახდა. იგი თავის რიგებში სხვადასხვა ეროვნების, პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ასეულ მილიონობით ადამიანს აერთიანებს. მშვიდობის, თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული საერთაშორისო თანამშრომლობის უკეთილშობილესი იდეა, რომლის დასაცავად მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობა თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებს, მსოფლიოს ყველა ხალხის სიმპათიითა და მხარდაჭერით სარგებლობს.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას დიდი საბჭოთა ხალხი, კომუნიზმის მშენებელი გმირი ხალხი, რომელიც სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებით. საბჭოთა ხალხებთან ერთად მშვიდობის დაცვის საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ დიდ ჩინელ ხალხს, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავისუფალ ხალხებს, ახალი ცხოვრების მშენებელ ხალხებს. მშვიდობისათვის იბრძვიან კაპიტალის ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ხალხებიც — საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, ლათინური ამერიკისა და სხვა ქვეყნების ხალხები. სულ უფრო აქტიურად ებმებიან მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებიც, რომლებიც მედგრად იბრძვიან ხმას ახალი ომის წინააღმდეგ. მშვიდობის მომხრეთა სრულიად ინდოეთის კონფერენციაზე 1949 წლის ნოემბერში ერთ-ერთმა დელეგატმა გაიცხადა: „ჩვენ არასოდეს არ მივცემთ ნებას ჩვენს შვილებსა და ქმრებს იბრძოლონ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების და მათი მოკავშირეების — ინდოეთის ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებისათვის. ჩვენ არასოდეს არ დავუშვებთ, რომ ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოლოს“.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უაღრესად მასობრივი, ხალხური, ორგანიზებული მოძრაობაა. მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, რომლებსაც იმპერიალისტური ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები უქმნიან მშვიდობისათვის მებრძოლებს, მშვიდობის დაცვის, ხალხთა შორის მეგობრობის იდეა მთელი მსოფლიოს ხალხებს მოედო. მშვიდობის დაცვის იდეა ის უკეთილშობილესი და უდიდესი ძალის მქონე იდეაა, რომელიც, არ ცხრის რა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს, თავისუფლად აღწევს ყველა ქვეყანაში და მილიონობით ადამიანთა გულს იპყრობს, მოუწოდებს მათ ფხიზლად იდგნენ მშვიდობის სადარაჯოზე, აქტიურად იბრძოლონ მშვიდობისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით მოეწყო ორი უდიდესი სახალხო რეფერენდუმი: სტოკჰოლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელი მოაწერა ხუთასმა მილიონმა ადამიანმა, ხოლო მოწოდებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ — 600 მილიონმა. ამ რეფერენდუმების ჩატარების დროს ომისა და აგრესიის ძალებმა დამარცხება განიცადეს. ისინი იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ ხალხთა ნებისათვის... და თუ ამერიკელმა იმპერიალისტებმა ვერ გაბედეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ ატომური იარაღის გამოყენება, მიუხედავად იმ საშინელებისა, რასაც ისინი კორეაში სჩადიან, ეს იმიტომ, რომ მილიონობით კეთილი ნების ადამიანმა ხელი მოაწერა სტოკჰოლმის მოწოდებას და ამით ნათელყო თავისი მტკიცე გადაწყვეტილება — დაიცვას მშვიდობა.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის საფუძვლად უდევს აქტიური ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის. ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მოგვცა მშვიდობისათვის თანამედროვე მოძრაობის კლასიკური დახასიათება: „მშვიდობისათვის გაჩაღებულ თანამედროვე მოძრაობას, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—მიზნად აქვს აამოძრაოს ხალხის მასები მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის. მაშასადამე, იგი არ ისახავს კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის დამყარების მიზნებს,—იგი იფარგლება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დემოკრატიული მიზნებით... შესაძლებელია, რომ, გარემოებათა გარკვეული დამთხვევისას, მშვიდობისათვის ბრძოლა აქა-იქ გადაიზარდოს სოციალიზმისათვის ბრძოლად, მაგრამ ეს უკვე იქნება არა თანამედროვე მოძრაობა მშვიდობისათვის, არამედ მოძრაობა კაპიტალიზმის დასამხობად“.

მშვიდობის მომხრეებს, რომლებიც თავიანთ ერთადერთ მიზნად ისახავენ მშვიდობის დაცვას, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებას, შესაძლებლად მიაჩნიათ სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების თანაარსებობა და თანამშრომლობა. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა პიეტრო ნენიმ სავსებით სამართლიანად განაცხადა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში წარმატებების მისაღწევად საჭიროა „გვწამდეს სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა“.

ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები, ხედავენ რა, რომ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობა სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის მათ თავიანთი ბნელი მიზნების განხორციელების საქმეში, ყოველ ღონეს ხმარობენ, ყოველგვარ ხრიკებსა და სიყალბეს მიმართავენ, რათა განხეთქილება შეიტანონ ამ დიდ სახალხო მოძრაობაში, ძირი გამოუთხარონ მის ერთიანობას. ისინი გაჰკივიან, რომ მშვიდობისათვის მოძრაობა თითქოს „კომუნისტური კამპანიაა“ და მასში მხოლოდ „კომუნისტები მონაწილეობენ“. ასეთი განცხადება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, იგი ამერიკული პროპაგანდის მორიგ ცილისწამებას წარმოადგენს. მართალია, კომუნისტები, რომლებიც ხალხების ინტერესების ნამდვილი დამცველები არიან, მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან, მაგრამ საჭიროა გავიხსენოთ, რომ მშვიდობისათვის მოძრაობაში მილიარდამდე ადამიანი მონაწილეობს, მაშინ როცა კომუნისტების რიცხვი მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირის ჩაუთვლელად, 19 მილიონამდეა. იტალიის კომუნისტური პარტია ორნახევარ მილიონ წევრს ითვლის, სტოკჰოლმის მოწოდებას კი ხელი 17 მილიონმა იტალიელმა მოაწერა. სტოკჰოლმის მოწოდებას ხელი მოაწერეს იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრებმა ორლანდომ, ნიტტიმ, ბონომიმ, პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ლიაქათ ალი-ხანის ოჯახის წევრებმა და მრავალმა სხვამ, — პოლიტიკური რწმენით კონსერვატორმა, ლიბერალმა თუ სოციალისტმა. ცხადია, ამერიკული პროპაგანდა ვერ გაბედავს ყველა ეს პირი კომუნისტებად გამოაცხადოს. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა წევრმა მარკანტონიომ, დაგმო რა ომისგაჩაღებელთა ცილისწამება იმის შესახებ, რომ მშვიდობისათვის მოძრაობა თითქოს კომუნისტების კონტროლქვეშ იმყოფებოდეს, განაცხადა: „ყოველი ადამიანი ან მშვიდობის მომხრეა, ან ომის. მე მშვიდობის მომხრე ვარ: მე არ მინდა ომი“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებამ მშვიდობის დასაცავად, ხალხთა კონგრესის მოწვევის შესახებ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებში. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციამ, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა და მრავალმა სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები აქტიურად ემზადებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართება ვენაში. მზადება სხვადასხვა ფორმებს იღებს: საფრანგეთში აგროცესენ „მშვიდობის ღია ბარათებს“, ინგლისში — ბლოკნოტებს: „შენი ხმა მშვიდობის დასაცავად“, ეწყობა მიტინგები, დემონსტრაციები, მიმდინარეობს დელეგატების არჩევნები...

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად მიესალმება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ამ დიდი კონგრესის მოწვევას, რომელიც ახალი ეტაპი იქნება მშვიდობისათვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანები, მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებულნი, გმირულად იბრძვიან რა მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის, კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას, შეაქვთ უდიდესი წვლილი მშვიდობის დაცვის დიდ საქმეში.

2 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება მშვიდობის მომხრეთა მეოთხე საკავშირო კონფერენცია, რომელიც კიდევ ერთხელ გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის საიმედო ბურჯის ხალხთა ნებას, მათს მტკიცე გადაწყვეტილებას — დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა წარმომადგენლები, დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა წარგზავნილებთან ერთად მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესზე გამოხატავენ საბჭოთა ხალხის მტკიცე ნებას—იბრძოლონ ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და საქმიანი თანამშრომლობისათვის.

გ. მელაძე.

კომუნიზმის მგზნებარე მშენებელი

საბჭოთა ხალხი ყოველი წლის პირველ დეკემბერს აღნიშნავს კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლის სერგეი მირონის-ძე კიროვის ვეროგულად მოკვლის დღეს; გულის ტკივილით იგონებს საბჭოთა ქვეყნისათვის ამ მძიმე დანაკლისს, რაც მას მიაყენეს იმპერიალისტთა დაქირავებულმა აგენტებმა, — ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელმა საზიზღარმა ბანდიტებმა.

ს. კიროვი ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და თავისი შეგნებული სიცოცხლე მოახმარა ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას, საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან მუშათა კლასისა და შრომელი გლეხობის განთავისუფლების საქმეს. ცნობილია კიროვის უდიდესი როლი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დროს, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით კიროვი მუშაობდა ასტრახანში რევკომის თავმჯდომარედ. პირველი მსოფლიო ომის შედეგად მოშლილი სამეურნეო ცხოვრების, შიმშილისა და ტიფის მძვინვარების, ფრონტიდან და ზურგიდან თეთრგვარდიელთა შემოტევის რთულ პირობებში შეუპოვრად მუშაობდა კიროვი, გულისხმიერად ზრუნავდა ადამიანებზე, უნერგავდა მათ გამარჯვების მტკიცე რწმენას, განამტკიცებდა საბჭოთა ზურგს. საომარი ტექნიკის, საჭურვლისა და სურსათის უქონლობის მძიმე პირობებში კიროვი იმყოფებოდა ფრონტის მოწინავე ხაზზე და შეუპოვარი ბრძოლის პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, ამარცხებდა მტრებს.

მტკიცედ ასრულებდა რა დიდი ლენინის მითითებას — „ასტრახანი ბოლომდე დაიცავით“ — კიროვი გაბედულად წინააღმდეგა მოღალატე ტროცკის განკარგულებას — დაეტოვებინათ ასტრახანი.

ასტრახანთან თეთრგვარდიელთა ურდოებზე გამარჯვების შემდეგ კიროვი სერგო ორჯონიკიძესთან ერთად გაუძღვა წინ საბჭოთა არმიის ნაწილებს კავკასიისაკენ და დიდი წვლილი შეიტანა ამ მხარის განთავისუფლების საქმეში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კიროვი შეუპოვრად იბრძოდა კომუნისტური პარტიის სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებისათვის. როცა პარტია აღდგენითი სამუშაოების წარმატების შედეგად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბრძნული სტალინური პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა, კიროვს უდიდესი უბანი მიანდეს — კიროვი ლენინგრადში გაიგზავნა სამუშაოდ. ლენინგრადელმა კომუნისტებმა კიროვის მეთაურობით გაანადგურეს ხალხის მტრები და თაეიანთი მებრძოლი ხელმძღვანელის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი — ლენინგრადი წარმატებით წაიყვანეს წინ, სოციალისტური შენებლობის გზით.

კიროვმა ამ მხარეში მოკლე პერიოდში ბევრი გააკეთა კომუნიზმის სასარგებლოდ. მის სახელთან დაკავშირებულია ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების ისეთი ნაბიჯი, როგორიც არის თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის შემაერთებელი არხის გაყვანა. მიმდინარე წელს ეს არხი საბჭოთა ხალხმა შეუერთა კომუნიზმის უდიდეს ნაგებობას — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხს და ამით ერთმანეთს დაუკავშირდა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ჩრდილოეთი და სამხრეთი.

ლენინურ-სტალინური სტილის ხელმძღვანელის — კიროვის მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განამტკიცებდეს მასებთან კავშირს მათს სათავეში მდგომი ჩვენი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. სერგეი მირონის-ძე ხშირად მიდიოდა ლენინგრადის ქარხნებსა და ფაბრიკებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, ოლქის სოფლებში, ესაუბრებოდა მუშებსა და კოლმეურნეებს, მშენებლებსა და ინტელიგენტებს, სწავლობდა მათს მოთხოვნებს, განწყობილებას, ავლენდა ნაკლოვანებებს, იღებდა ზომებს მათ გამოსასწორებლად. ამიტომ უყვარდა ხალხს კიროვი და მტკიცედ მიჰყვებოდა მას, როგორც შეუდრეკელ, სიძნელეების წინაშე უშიშარ, პრინციპულ, შორსმჭვრეტელ, თავმდაბალ და გულისხმიერ ხელმძღვანელს.

კიროვი განსახიერება იყო კომუნისტისა, რომელსაც აქვს გასაოცარი პოლიტიკური ალღო და სიმახვილე. კიროვს მტრული ელემენტების ხრიკების გამოცნობის არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა, იგი არ ინდობდა ხალხის ორგულებს, უსაზღვროდ სძულდა იმპერიალისტი მჩაგვრელები.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კიროვის შესანიშნავ გამოსვლებს კომუნისტების, საბჭოთა კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღების, მასების შეგნების პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის საფუძვლებით გამდიდრების შესახებ. მისი მითითებები ამ მიმართულებით დღესაც სახელმძღვანელოა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიეპართება კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ, მათ გულში ცოცხლობს კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლისა და პროპაგანდისტის ს. მ. კიროვის ხსოვნა, კიროვის სახე აღაფრთოვანებს მათ ახალ და ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

თბილისი. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა ქართულ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 31-ე ტომი და ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის მე-13 ტომი. გამოცემულია აგრეთვე ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე, ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის მასალები ნახევარი მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. სურათზე: მკინძავი ს. ტორონჯაძე (მარცხნივ) და კონტროლიორი ო. შტუნკო გასაგზავნად ამზადებენ გამოცემულ წიგნებსა და ბროშურებს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

მილიონობით რუკა, გლობუსის სეგმენტი, ატლასი

თბილისის მერვე კარტოგრაფიულმა ფაბრიკამ (დირექტორი დ. კოტიუკი) ჩვენი ქვეყნის სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის წელს გამოუშვა 25-ზე მეტი სახელწოდების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ისტორიული, სასწავლო და სხვა რუკები და ატლასები რამდენიმე მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

სკოლებმა მიიღეს 400 ათასზე მეტი ცალი ატლასი, აგრეთვე სხვადასხვა სასწავლო ფიზიკური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ისტორიული მრავალ ფერადი რუკა, რომელთა ტირაჟი 200 ათასს აღემატება. გამოცემულია აგრეთვე 100 ათასი სეგმენტი გლობუსებისათვის და 200 ათასი კომპლექტი კონტურული რუკა.

წელს გამოშვებულ რუკებს შორის არის საქართველოს სსრ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ფიზიკური რუკა, აზერბაიჯანის სსრ ფიზიკური რუკა, სომხეთის სსრ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ფიზიკური სასწავლო რუკები.

ნოემბერში ფაბრიკამ პირველად დაიწყო დიდი ტირაჟით გამოცემა მრავალფერადოვანი დიდმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკებისა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებისათვის და კერძოდ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ფაბრიკას მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

რუსულად მეცხრეე გამოიცა პოემა „ბავშვობა და ყრმობა“

მოსკოვში საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ რუსულ ენაზე მეცხრედ გამოსცა გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“. წიგნს დართული აქვს მხატვარ ნ. ჟუკოვის მიერ შესრულებული პორტრეტი ი. ბ. სტალინისა ყრმობის წლებში. წიგნი ლამაზად არის გაფორმებული მხატვარ ლ. ზუსმანის მიერ. პოემის ტირაჟია 50.000 ცალი. წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, შეიცავს 162 გვერდს. ფასი 4 მან. 30 კაპ.

გამწვანების საშემოდგომო სამუშაოები

წარმატებით მიმდინარეობს თბილისის გამწვანების საშემოდგომო სამუშაოები. ქალაქის გამწვანების ტრესტმა დიღმის სანერგიდან შემოზიდა ფიჭვის, კედრის, ჭადრის, ალვისხის, ნეკერჩხლის, იფნის, აგრეთვე კურკოვანი მცენარეების — ნუშის, ატმის, ჭერამის, ბალისა და სხვ. ნერგები. ამ მცენარეებს რგავენ სტალინის სახელობის სანაპიროზე, რუსთაველის პროსპექტზე, კომკავშირის ხეივანში, ვაკის პარკში, მთაწმინდის ფერდობებზე, ლისის ტბის პარკში და სხვ.

დიდი მუშაობა წარმოებს აგრეთვე თბილისის ზღვის მიდამოების გასამწვანებლად, ტყეპარკებში მწვანე ნარგავების შესავსებად.

გამწვანების ტრესტს განზრახული აქვს წელს დარგოს 80 ათასი ხე და ბუჩქი და ყველა სამუშაო დაამთავროს 20 დეკემბრისათვის.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ფაბრიკა

თბილისის მაკარონის ფაბრიკაში მრავალად მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მის მიერ დამზადებული მაკარონის ნაწარმი საუკეთესოა და იგი მომხმარებელთა და სავაჭრო ორგანიზაციების მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ყველა საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით მან საუკეთესო შედეგებს მიაღწია — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო, ცალკეულ ბრიგადებს კი საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის მაღალი სახელი მიენიჭა.

მესამე კვარტალში მაკარონის დამამზადებლებმა არათუ არ შეანელეს, პირიქით, გააძლიერეს მუშაობის ტემპი, საერთო პროდუქციის გამოშვების სამი თვის გეგმა შეასრულეს 116,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 6,8 პროცენტით, თვითღირებულება კი 1,7 პროცენტით შეამცირეს; ცხრა თვეში ფაბრიკის ზეგეგმითმა დაგროვებამ ცხრაასი ათას მახეთამდე მიაღწია, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიამ — თითქმის შვიდასი ათას მანეთს. ასეთი წარმატებებით მათ არა მარტო შეინარჩუნეს გარდამავალი წითელი დროშა, არამედ ახლა უკვე მთელ ფაბრიკას საპატიო წოდება — საუკეთესო პროდუქციის საწარმოს სახელი მოუხვეჭეს.

როგორ გახდა თბილისის მაკარონის ფაბრიკა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმო?

შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულეს დირექციის მიერ გატარებულმა მთელმა რიგმა საწარმოო-ტექნიკურმა ღონისძიებებმა.

ნაწარმის ხარისხის მკვეთრად გასაუმჯობესებლად მკაცრი კონტროლი დამყარდა მუშაობის ყველა უბანზე.

საბარატო-საშრობ-შემფუთავ საამქროში დაიდგა ინჟინერ ვ. კოლომეიცევის მეთოდით დამზადებული ახალი საწნეხი ყალიბები, რომლებიც ერთიორად ზრდიან აგრეგატის წარმადობას.

გაძლიერდა საშრობი მეურნეობა. წელს გრძელდებოდა ძველი სისტემის საშრობი კარადების შეცვლა ამავე ფაბრიკის მთავარი ინჟინერის პ. მუჯირის წინადადებით დამზადებული კარადებით. ამ ცვლილების უპირატესობაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: თუ მანამდე დღეღამეში შესაძლებელი იყო მხოლოდ ორას კილოგრამამდე ნახევარფაბრიკატის გაშრობა, ახლა ეს ციფრი 700-800 კილოგრამამდეა აყვანილი.

მექანიზმების, მოწყობილობის ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად რეგულარულად ხდება დანადგარების პროფილაქტიკური და მიმდინარე რემონტი.

სასტიკი ბრძოლა წარმოებს ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვისათვის. ტექნოლოგიური რეჟიმის, შრომის, საწარმოო დისციპლინისა და სანიტარული წესების დარღვევის თვითეული შემთხვევა მსჯელობის საგანი ხდება. ყოველი ცვლის მუშაობის დამთავრებისთანავე ეწყობა რამდენიმეწუთიანი თათბირი, სადაც აღინიშნება სამუშაო დღის განმავლობაში გამოვლინებული ნაკლოვანებები და ისახება შემდგომში მათი თავიდან აცილების ღონისძიებანი.

ფაბრიკაში სერიოზულ ყურადღებას აქცევენ წამყვანი პროფესიის მუშების ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებას. შარშან ტექნიკური მინიმუმის კურსები დაამთავრა 28 კაცმა. წელს იანვრიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეცადნიერობაზე კვირაში ორჯერ იკრიბება კურსების ახალი შევსება — 33 მუშა.

დიდი ყურადღება ექცევა მოსკოვის, გორკის, ვორონეჟის მოწინავე საწარმოთა ნოვატორების შრომითი მეთოდების პოპულარიზაციას, მათს დანერგვას. მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკის „კრასნი ოკტიაბრის“ სტახანოველების, სტალინური პრემიის ლაურეატების ვ. სანაევისა და ვ. სემიონოვის მაგალითისამებრ თბილისელმა მაკარონის დამამზადებლებმა ჩჭაროსნული მუშაობა უნარიანად შეუხამეს საწარმოო ნარჩენების შემცირებისათვის ბრძოლას.

ფაბრიკაში სანიმუშო სანიტარული მდგომარეობაა. სანიტარული საგუშაგოები ფხიზლად ადევნებენ თვალს მუშების მიერ პირადი ჰიგიენის დაცვას, აქ არსებობს ქალთა ჰიგიენის ოთახი. წარმოების მუშაკებისაგან შექმნილი ბრიგადა კვირაობით აწყობს ფაბრიკის ტერიტორიის დასუფთავებას.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს ხშირად იხილავენ ფაბრიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის, მუშა-მოსამსახურეთა კრებებსა და საწარმოო თათბირებზე.

საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ფაბრიკის მთელი კოლექტივი. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ ნ. კენჭაძის, ს. ჯიხვიშვილის, ი. არუთინოვის ბრიგადებს. სტახანოვური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან კომუნისტები: ვერმიშელის ჩამწყობი ს. ჩახუნაშვილი, ბრიგადირის თანაშემწე მ. ზავგოროდნევა, მაკარონის მწნეხავი ა. ზედგინიძე.

ფაბრიკის კოლექტივმა ადმინისტრაციის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შესანიშნავი საწარმოო წარმატება მოიპოვა—წლიური დავალება 17 ოქტომბრისათვის გაანაღდა. 22 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებული იყო ათას ტონაზე მეტი მაკარონის ნაწარმი.

მაკარონის დამამზადებლები ახლა თავდადებით შრომობენ, რათა წლის ბოლომდე კიდევ ცხრაასი ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია დაამზადონ.

ასე შესანიშნავად ასრულებს ფაბრიკის კოლექტივი მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ს. ხარაზიშვილი.

„გაზაფხულის დილა“

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1946 წლის 26 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებამ „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დრამატურგებსა და თეატრის მუშაკებს ამოცანად დაუსახა „შექმნან მკაფიო და მხატვრულად სრულფასოვანი ნაწარმოებები საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შესახებ, საბჭოთა ადამიანის შესახებ“.

როცა ამ ამოცანის თვალსაზრისით ვუდგებით ვიქტორ გაბესკირიას თხზულებას „გაზაფხულის დილის“ ანალიზს, ასეთ დასკვნამდე მივდივართ: პიესა დაწერილია ოსტატის ხელით, კარგი ლიტერატურული ენით, ცხოვრების ღრმა ცოდნით, დიდი სიყვარულით და გულმოდგინედ. იგი უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მაყურებელში მოწინავე საბჭოთა იდეოლოგიისა და მორალის დანერგვის საქმეს, უფრო მეტად გაამახვილებს ჩვენს ყურადღებას იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ჩვენი ყოფიდან. ბრძოლა ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან მისი უწმინდესი დანიშნულებაა შეაყვაროს ხალხს ყველაფერი, რაც კი ადამიანის მორალურ სრულყოფას ემსახურება, რაც კი მისი სულიერი სილამაზისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების გამოხატულებაა; ხოლო შეაძულოს ის, რაც კი უხამსობის, ჩამორჩენილობის, ანტისაზოგადოებრივი განწყობილების, დახავსებული სულისკვეთების ნიშანს ატარებს.

ნამდვილი საბჭოთა დრამატურგიული ნაწარმოები რელიეფურად, მკაფიო მხატვრული საშუალებებით უნდა გვიხატავდეს ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწის დამახასიათებელ ნიშნებს: ნათელ, გამჭრიახ გონებას, თავდადებას და გამბედაობას ახლისათვის ბრძოლაში, მტკიცე ნებისყოფას, მაღალ პრინციპულობას, რევოლუციურ პათოსს და მგზნებარებას, ხალხისადმი რწმენას და სიყვარულს, დასახული მიზნისაკენ შეუპოვარ სწრაფვას, დიდ ორგანიზატორულ ნიჭს. იგი სათავეში უნდა ედგას ბრძოლას ახლის დამკვიდრებისათვის ცხოვრებაში, ვინაიდან ძველის, დრომოჭმულის, ხავსმოდებულის განდევნა ხდება დაუნდობელი ბრძოლის საშუალებით.

ახალსა და ძველს შორის შეუპოვარი ბრძოლის ფონზეა გაშლილი ვიქტორ გაბესკირიას პიესის „გაზაფხულის დილის“ სიუჟეტი. ნაწარმოებში ნაჩვენებია საქართველოს ერთ-ერთ რაიონში არსებული ქარხნის მუშაკთა ცხოვრება. მათი ხასიათებითა და მოქმედებით მაყურებელი ეცნობა იმ გარემოს, პირობებს, რითაც სულდგმულობს თვითეული მათგანი.

ქარხნის დირექტორი ლონგინოზი გადაგვარებული, მორალურად გახრწნილი ადამიანია. იგი ანიავებს სახელმწიფო ქონებას და ათასგვარი ყალთაბანდობით ახერხებს ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მიჩქმალვას. უხამსობის ჭაობში ჩაფლულს, აღარახსნილ კომბინატორს ლონგინოზს მხარს უმშვენებს ქარხნის მომარაგების გაწყოფილების უფროსი ტიტიკო. ტიტიკოსათვის არაფერი არ არის ამ ქვეყნად წმინდა და კეთილშობილური. იგი მხოლოდ პირადი გამდიდრებისათვის ზრუნავს და თავის გზას ცინიკური მსჯელობით „ასაბუთებს“. ტიტიკოს გულისამრევი მსჯელობით უკვე მთელი სურათია დახატული თავხედი ბოროტმოქმედისა, რომელსაც თავი ყოვლისშემძლედ მიაჩნია. იგი დიდხანს თარეშობს დაუსჯელად ლონგინოზთან ერთად. მაგრამ ქარხნის მთავარმა ინჟინერმა შალვამ გაბეჯოლად აღიმაღლა ხმა ამ სისაძაგლის წინააღმდეგ. შალვას მხარეზეა ქარხნის ყველა პატიოსანი მუშაკი, საერთო საქმისადმი ყველა ერთგული ადამიანი. შეჯახება, კონფლიქტი ამ ორ მხარეს შორის მოცემულია დამაჯერებელი მხატვრული ხერხებით.

საბჭოთა თეატრის უპირველესი ამოცანაა ღრმად ჩაწვდეს ავტორის ჩანაფიქრს, დრამატურგიული მასალის იდეურ მიზანსწრაფვას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიესის პოლიტიკური ტენდენციის სცენიურ ინტერპრეტაციას, იმას, თუ რამდენად წინ წამოსწევს რეჟისორი მსახიობებთან ერთად ნაწარმოების პუბლიცისტურ მხარეს, კი არ შეანელებს, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს დრამატურგიული მასალის საზოგადოებრივ ფუნქციას, გაამახვილებს მისი ზემოქმედების ძალას.

ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ლ. იოსელიანმა აქტიორულ ძალებთან ერთად წარმატებით გადაჭრა ეს რთული ამოცანა. ჩვენ მივიღეთ სპექტაკლი, რომელიც ფართოდ ეხმაურება თანამედროვეობას, იძლევა იმ საკითხების მხატვრულ გადაწყვეტას, რაც აინტერესებს და აღელვებს საბჭოთა ადამიანს.

ქარხნის ბუხჰალტერიაში მუშაობს ლილი, ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც გატაცებულია ხელოვნებით, მაგრამ შემთხვევით ვერ მოხვდა თეატრალურ ინსტიტუტში. მას თავდავიწყებით უყვარს შალვა, ოღონდ ხმის ამოღება ვერ გაუბედნია ამის შესახებ. ლილის სიცოცხლე შეაქვს მის გარშემო მყოფ ადამიანთა ყოველდღიურობაში, მას ყველა პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობა. შალვაც ასეთსავე პატივისცემას იჩენს მისდამი. მაგრამ სატრფიალო ჟინით შეპყრობილ ლილის ეს როდი აკმაყოფილებს. იგი სევდას შეუპყრია და ოცნებით არის გატაცებული. მსახიობმა ელენე ყიფშიძემ მომხიბლავი სცენიური ფერადებით დაგვიხატა ეს სახე. იგი ღრმად ჩასწვდომია გმირის ხასიათს, მის სულიერ სამყაროს. მსახიობმა გმირის ხასიათში გახსნა სწორედ ის თვისებები, რაც საშუალებას იძლევა არ დაიიწყოს მხატვრული სახის მთლიანობა. ე. ყიფშიძე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ხატავს გმირის დამახასიათებელ შტრიხებს. ეს უმნიშვნელო, „უცნაურად გადაკეთებულ პალტოში გამოწყობილი“ ქალიშვილი მსახიობმა აქცია საინტერესო ტიპად. ლილის ხასიათში მან დაგვანახვა არა „ბედით განაწამები“, არამედ მოსიყვარულე, გულთბილი, მდიდარი სულიერი თვისებებით დაჯილდოებული ქალიშვილი. მსახიობმა განსაკუთრებული სიძლიერით შეასრულა უკანასკნელი სცენა შალვასთან, როცა უზომო სიხარულით აღტაცებულს თავგზა ებნევა და არ იცის როგორ გაუძლოს ამ მოზღვავებულ ნეტარებას.

მაღალი მორალური თვისებებით არის აღჭურვილი ქარხნის მთავარი ბუხჰალტერი დავითი, რომელმაც კარგად იცის ადამიანისა და სიმართლის ფასი, სძაგს ბოროტება და თავის გარშემო ქმნის კეთილშობილების, სისპეტაკის ატმოსფეროს. მსახიობმა ალ. გომელაურმა შესანიშნავად გვიჩვენა დავითის უმწიკვლო ბუნება. მსახიობი მხატვრული სისადავის ხერხებით აღწევს დიდ დამაჯერებლობას და ინტიმს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ჰ. კობახიძე შალვას სახეს ისე გვიხატავს, რომ მაყურებელი მასში ხედავს და გრძნობს მოწინავე საბჭოთა ადამიანს, ამიტომაც სჯერა მისი სიმართლისა, თვითეული აზრისა, თვითეული სიტყვისა. შალვას პირველივე შეხვედრა ქარხნის დირექტორ ლონგინოზთან მკაფიო გამოხატულებაა ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი სამყაროსი — ძველის, დრომოჭმულის, სასიკვდილოდ განწირულისა და ახლის, სიცოცხლის უფლების მქონის, მოწინავესი. მაყურებელი რწმუნდება, რომ ბრძოლა ძველსა და ახალს შორის ახლის გამარჯვებით დამთავრდება. ამის საწინდარია ის უდიდესი უპირატესობანი, რაც ახლის მხარეზეა და რამაც უდავოდ უნდა უზრუნველყოს მისი ბრწყინვალე გამარჯვება. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი კარგად აქვს მხატვრულად გააზრებული პიესის ავტორს. ხოლო თეატრს ბოლომდე სწორად აქვს იგი გაგებული და სცენიურად ხორციშესხმული. თავდაჭერილი, მტკიცე, პირდაპირი, პრინციპული კომუნისტია პიერ კობახიძის შალვა. იგი ვერ ურიგდება ლონგინოზისა და მისი წრის უხამსობას, მაქინაციებს, სახელმწიფო ქონების დატაცებას, ულმობლად ამხილებს მათს ბოროტმოქმედებას, სააშკარაოზე გამოაქვს იგი.

ჭარბი ფერებით ჰყავს დახატული ავტორს ტატიკო. ეს გაიძვერა და ყალთაბანდი ბოროტმოქმედი ასეთივე ჭარბი ფერებით დახატა მსახიობმა აკაკი კვანტალიანმა. სატირის მახვილი იარაღით ანადგურებს მსახიობი დამნაშავის სულიერ თვისებებს. როლის უაღრესად ნიჭიერი შესრულებით მსახიობი ქმნის ისეთ სცენიურ გმირს, რომელიც ხორცშეტია ჩვენი დროისთვის და ყველა საბჭოთა ადამიანის მხრივ უსაზღვრო ზიზღსა და გაკიცხვას იმსახურებს. მსახიობი ამით გამარჯვებას აღწევს და თავისი თამაშით დიდ აღმზრდელობითს ფუნქციას ასრულებს.

შეიძლება არ დავეთანხმოთ ლონგინოზის როლის გაგებაში ვასო გოძიაშვილს. მის თამაშს ზედმეტი თეატრალობის ბეჭედი აზის. ცხადია, მსახიობს ამ ხერხით სურდა ხაზი გაესვა გმირის ტრაგიკული მდგომარეობის, მისი განწირულების, მისი ყოფის უნიადაგობისათვის. მაგრამ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა, რომ მსახიობი სპექტაკლის საერთო ტონიდან არ გამოთიშულიყო და სისადავის, ბუნებრივი დამაჯერებლობის გზას არ ასცდენოდა. მით უმეტეს, რომ ეს სრულიად არ იქნებოდა ძნელი ისეთი ნიჭიერი მსახიობისათვის, როგორიც არის ვასო გოძიაშვილი. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დანაშაული მიუძღვის რეჟისორს, ვინაიდან მსახიობის ეს წარუმატებლობა როლის ბუნების გაგებისადმი მცდარ თვალსაზრისში უნდა ვეძიოთ.

მკრთალად მიჰყავს თინათინის როლი მსახიობ თ. ღამბაშიძეს. მის თამაშს აკლია მგზნებარება.

კარგად ასრულებს ქარხნის მოფერის ელიოზას როლს მსახიობი ა. ვერულეიშვილი. მისი თამაში სადა და ბუნებრივია.

მარტოხელას ტიპია პიესაში სანდალა. ეს გმირი ავტორის შემოქმედებაში საერთოდ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. ამიტომ დაუხატავს მისი სახე პიესის ავტორს ასეთი სიყვარულით და შინაგანი სითბოთი. მსახიობ ვ. ნინუას მიერ განსახიერებული სანდალა მაყურებლის დიდ შორწონებას იმსახურებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შეიძლებოდა ამ როლის უფრო დახვეწა.

პიესის ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ პირველ რიგში, რომ შედარებით უსისხლხორცონი არიან რეჟისორები ბებესალომი (დ. ქუთათელაძე) და ზურაბი (ა. სიხარულიძე). მათი სიტყვიერი მასალა ღარიბია, რაც საშუალებას არ იძლევა მსახიობებმა რაიმე საყურადღებო შექმნან.

ამრიგად, ცალკეული დეფექტები აქვს როგორც პიესას, აგრეთვე სპექტაკლსაც. პიესის ავტორს, მაგალითად, ცხოველმყოფელობით უნდა აღეჭურვა ნაწარმოების მნიშვნელოვანი პერსონაჟი შალვა; შეიძლებოდა ზოგიერთი გაჭიანურებული ადგილის შეკვეცა. რეჟისორის მიმართაც უნდა შევნიშნოთ, რომ სპექტაკლის მხატვრულ დონეს კიდევ უფრო აამაღლებდა მისი განტვირთვა ზედმეტი დეტალებისაგან.

მაგრამ ეს როდია მთავარი და განმსაზღვრელი ამ მხატვრული ფაქტის ღირსებისა, მისი ავკარგიანობისა. დიდი სტალინი ფელიქს კონისადმი გაგზავნილ წერილში ამბ. მიკულინას ბროშურის („მასების შეჯიბრება“) შესახებ წერდა: „განა ბროშურის ღირებულება ცალკეული კერძო მხარეებით განისაზღვრება, და არა მისი საერთო მიმართულებით?.. რა არის ამბ. მიკულინას ბროშურის ღირსება? ის, რომ იგი შეჯიბრების იდეის პოპულარიზაციას ეწევა და მკითხველს შეჯიბრების სულისკვეთებას უღვიძებს. ეს არის მთავარი, და არა ცალკეული კერძო შეცდომები“.

სწორედ იმიტომ მიგვაჩნია საჭირო და სასარგებლო ნაწარმოებად „გაზაფხულის დილა“, რომ, მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, მთლიანად იგი წარმატებით ასრულებს თავის დანიშნულებას—ამათრახებს იმ ნაკლოვანებებს, რაც ჯერ კიდევ საესებით არ არის აღმოფხვრილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამხანაგმა გ. მ. ალენყოვმა თავის მოხსენებაში პარტიის მეცხრამეტე ყრილობაზე დასახა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: „ჩვენ გვესაჭიროებიან საბჭოთა გოგოლები და შჩედრინები, რომლებიც სატირის ცეცხლით ამოსწვავდნენ ცხოვრებაში ყოველივე უარყოფითს, დამპალს, მკვდარს, ყოველივე ამას, რაც აფერხებს წინსვლას“.

ამ ამოცანის შესრულებაში გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია სპექტაკლ „გაზაფხულის დილასაც“.

ვ. ბახტურიძე.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՐՏԱԿԱՆ ԿԱԶՄԱԿԵՐՊՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՄԱՐՄՆԻ ՀԱՐՑԵՐԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՐՏԱԿԱՆ ԿԱԶՄԱԿԵՐՊՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՄԱՐՄՆԻ ՀԱՐՑԵՐԸ

ՀԱՅԿԱՆԻ, 28 հունվարի. (Հայկինֆորմ). Հետևելով Հայկական ՍՍՀ մարտական կազմակերպությունների հանրապետական մարմնի ստեղծման մասին որոշմանը, մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների ընտրությունները ավարտվել են։

Ընտրվել են մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների նոր կազմերը, որոնք ղեկավարելու են մարտական կազմակերպությունների աշխատանքը։ Ընտրվել են նաև մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների նախագահները։

Մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների նախագահները ներկայացրել են հանրապետական մարմնի նախագահությանը իրենց մարտական կազմակերպությունների ընտրված կազմերը։ Հանրապետական մարմնի նախագահությունը հաստատել է մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների կազմերը։

Մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների նախագահները հանրապետական մարմնի նախագահության հետ համաձայնությամբ նշանակել են մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների քարտուղարներին։

Մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների նախագահները և քարտուղարները հանրապետական մարմնի նախագահության հետ համաձայնությամբ նշանակել են մարտական կազմակերպությունների շրջանային մարմինների կազմերը